



საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
პროპის, ჯანდაცვისდაცვისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი  
ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

## დანართი №1

# ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

დანართი №1-ით მოცემული რეკომენდაციები მიესადაგება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორს

**შენიშვნა:** „დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანების შესაბამისად, იმ პირებზე ვინც კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში იმყოფებიან საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) ტოლფას ცნობას გაცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩათვლება და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები. ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - [info@moh.gov.ge](mailto:info@moh.gov.ge) მიმართოს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

☎ 15 05

☎ 116 001



## ს ა რ ჩ ე ვ ი

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შემუშავება .....	3
ინფექციის პრევენციის ძირითადი ღონისძიებების განხორციელებისთვის მზადება .....	3
კონტროლის ღონისძიებების იერარქია.....	4
COVID -19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების კლასიფიცირება .....	6
<b>ძალიან მაღალი</b> .....	6
<b>მაღალი რისკი</b> .....	6
რეკომენდაციები სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების ძალიან მაღალი ან მაღალი რისკის მქონედ .....	6
<b>საშუალო რისკი</b> .....	7
რეკომენდაციები იმ სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების საშუალო რისკის მქონედ.....	8
<b>დაბალი რისკი</b> .....	9
რეკომენდაციები იმ სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების დაბალი რისკის მქონედ.....	9



## ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შემუშავება

დამსაქმებლებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ სპეციალური ზომები, უნდა შეიმუშაონ ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციების გეგმა), რომელიც COVID-19-გან დაცვის ღონისძიებების წარმართვაში დაეხმარება მათ. მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო მითითებები და განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი რეკომენდაციების შესრულება.

გეგმებში გათვალისწინებული და განხილული უნდა იქნას სხვადასხვა სამუშაო ადგილებთან და დავალებებთან დაკავშირებული რისკის დონე (დონეები), რომელთა შესრულებაც უწყვეტ თანამშრომლებს. გასათვალისწინებელი საკითხები შეიძლება მოიცავდეს: სად, როგორ და COVID-19-ით ინფიცირების რა წყაროების მიმართ შეიძლება აღმოჩნდნენ თანამშრომლები დაუცველნი, მათ შორის: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მომხმარებლებთან ურთიერთობისას და ა.შ.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამშრომლების ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები (მაგ: საპენსიო ასაკი, ქრონიკული დაავადების არსებობა და ა.შ). ასეთი პირების არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მენეჯმენტმა უნდა მიმართოს კონტროლის დამატებით ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა ამ რისკების შესამცირებლად.

### პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

## ინფექციის პრევენციის ძირითადი ღონისძიებების განხორციელებისთვის მზადება

ყველა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება, მათ შორის:

- ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;
- ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;
- ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- თანამშრომელთა წახალისება, დარჩნენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;



- რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;
- ერთჯერადი ხელსახოცებისა და ნაგვის ყუთების უზრუნველყოფა მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის;

დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშაონ იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები და/ან სიმპტომები გააჩნიათ და ტრენინგები უნდა ჩაუტარონ თანამშრომლებს მათ განხორციელებაში.

დამსაქმებლებმა უნდა უზრუნველყონ სამუშაო ადგილზე მოქნილი სამუშაო რეჟიმის შემუშავება და განხორციელება, მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ავადმყოფობის გამო შვებულების პოლიტიკის მოქნილობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ მითითებებთან მისი შესაბამისობა. ობიექტზე არსებულ კომპანიებს მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაავადებული თანამშრომლების სახლში დარჩენა და მათთვის წამახალისებელი, პოლიტიკის, შვებულების აღების, როტაციული გრაფიკის ან/და დისტანციურად შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ღონისძიებების განხორციელება.

დამსაქმებლებმა შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეიმუშაონ მოქნილი პოლიტიკა, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას მისცემს დარჩნენ სახლში და იზრუნონ ოჯახის წევრებზე.

### კონტროლის ღონისძიებების იერარქია

კომპანიებმა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფისთვის უნდა იხელმძღვანელონ „კონტროლის ღონისძიებების იერარქიით“. კონტროლის საუკეთესო გზაა საფრთხის სისტემატურად აღმოფხვრა სამუშაო ადგილიდან. უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად, დამსაქმებელმა პირველ რიგში უნდა მიმართოს საინჟინრო კონტროლის ღონისძიებებს (მაგ. - დამცავი ბარიერები და ა.შ), ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები (ინსტრუქციები, ტრენინგი, სადეზინფექციო საშუალებების უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება), და ბოლოს უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (პირბადეები, სათვალეები, ხელთათმანები, კომბინიზონი). კონტროლის ღონისძიების თითოეულ დონეს ახასიათებს უპირატესობები და ნაკლოვანებები მათი განხორციელების სიმარტივის, ეფექტურობის და

#### კონტროლის იერარქია





ხარჯების გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევებში საჭიროა კონტროლის ღონისძიებების კომბინაციის გამოყენება თანამშრომლების COVID-19 ვირუსის ზეგავლენისაგან დასაცავად.

რისკის კონტროლის შესაბამისი იერარქიის არჩევისას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე დამსაქმებელმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს (საფრთხის აღმოფხვრა), ხოლო დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, თუ ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, იხელმძღვანელოს დადმავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.

საკონტროლო ღონისძიებები სამუშაო პოლიტიკის ან პროცედურების ცვლილებებს წარმოადგენს, რათა შემცირდეს საფრთხე. COVID-19-თან დაკავშირებით საკონტროლო ღონისძიებების მაგალითები მოიცავს:

- მოწოდებას დაავადებული თანამშრომლების მიმართ, რომ სახლში დარჩნენ.
- თანამშრომლებს, კლიენტებსა და მომხმარებლებს შორის კონტაქტის მინიმუმამდე შემცირება დისტანციური მუშაობის შემოღების გზით.
- ალტერნატიული დღეების ან ცვლებში მუშაობის შემოღებას, რათა შემცირდეს დაწესებულებაში/ობიექტზე ერთდროულად მყოფ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა, რაც მათ საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ დისტანცია ერთმანეთისგან.
- თანამშრომლებისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას და დატრენინგებას COVID-19-ის რისკების ფაქტორებისა და საკონტროლო ღონისძიებების შესახებ (მაგ. ხველების ეტიკეტი და პირადი დაცვის აღჭურვილობის მოვლა).
- თანამშრომლების დატრენინგებას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მის შენახვა/მოცილებაზე.
- ტრენინგის მასალები ადვილად ააქმაღობას და მსმენელთათვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად იმისა, რომ მიჩნეულია, რომ საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები უფრო ეფექტურია COVID-19-ის მიმართ ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებისათვის, შესაძლოა ასევე საჭირო იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს), გარკვეული ექსპოზიციის პრევენციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ იდს-ების სწორად გამოყენებას გარკვეული სახის ექსპოზიციის პრევენცია შეუძლია, მან არ უნდა შეცვალოს პრევენციის სხვა სტრატეგიები.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სახის დამცავი ფარები, სახის ნიღბები, და რესპირატორული დამცავი საშუალებები.

აუცილებელია, რომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ყველა ტიპი:

- შერჩეულ იქნას თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად;
- სათანადოდ იყოს მორგებული სამუშაოს და დასაქმებულს (მაგ. რესპირატორები);
- გამოიყენებოდეს დადგენილი წესის შესაბამისად;
- რეგულარულად ხორციელდებოდეს მისი შემოწმება ვარგისიანობაზე, საჭიროების შემთხვევაში გაეწიოს ტექნიკური მომსახურება და დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი დროული გამოცვლა;


დამსაქმებლები ვალდებული არიან თანამშრომლები უზრუნველყონ იდს-ებით, რომელიც საჭიროა მათი უსაფრთხოებისათვის სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებისას.



რესპირატორთან დაკავშირებული საკითხების ტრენინგი უნდა მოიცავდეს შერჩევის, გამოყენების (მათ შორის მისი ტარების, მორგების), სათანადო განთავსების, ან დეზინფექციის, დაზიანებაზე შემოწმების საკითხებს.

## COVID -19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების კლასიფიცირება

COVID – 19 - ით დასაქმებულთა ინფიცირების რისკები შეიძლება იყოს: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო, ან დაბალი. რისკის დონე ნაწილობრივ დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ტიპზე. სამუშაო ადგილზე რისკების პირამიდა გვიჩვენებს ინფიცირების რისკის ოთხ დონეს.



### ძალიან მაღალი

ინფიცირების ძალიან მაღალი რისკის შემცველი სამუშაო ადგილებია: კონკრეტული სამედიცინო ან ლაბორატორიული პროცედურების განმახორციელებელი დაწესებულებები. ამ

კატეგორიას განეკუთვნებიან შემდეგი დასაქმებული პირები: ჯანდაცვის პერსონალი (მაგ. ექიმები, ექთნები, სტომატოლოგები, პირველადი სამედიცინო დახმარების გამწვევი პირები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალი), ლაბორატორიის პერსონალი, რომელიც აგროვებს ან ამუშავებს ნიმუშებს COVID-19-ით დაავადებული ან ამ დაავადებაზე ეჭვმიტანილი პაციენტებიდან.

### მაღალი რისკი

ინფიცირების მაღალი რისკის შემცველი სამუშაო ადგილები ის ადგილებია, სადაც COVID-19-ის ცნობილი, ან სავარაუდო წყაროების მიმართ ინფიცირების დიდი პოტენციალი არსებობს. ამ კატეგორიას განეკუთვნება შემდეგი პერსონალი: ექიმები, ექთნები და სხვა დამხმარე პერსონალი, რომლებსაც უწყვეტ პაციენტების პალატებში შესვლა; მორგში მომუშავე პირები, რომლებიც მონაწილეობენ იმ პირთა გვამების მომზადებაში, რომელთაც გარდაცვალებამდე დაუდასტურდათ, ან რომელთა მიმართ არსებობდა ეჭვი, რომ დაავადებული იყვნენ COVID-19-ით.

### რეკომენდაციები სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების

#### ძალიან მაღალი ან მაღალი რისკის მქონედ

##### საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები

შესაძლებლობისა და აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყავით ჰაერის დამუშავების შესაბამისი სისტემების დამონტაჟება და მათი ტექნიკური მომსახურება ჯანდაცვის ობიექტებში.

რეკომენდაციაა, რომ COVID-19-ის დადასტურებულ, ან სავარაუდო შემთხვევისას (ე.ი. პირები, რომელთა გამოკვლევა გრძელდება) პაციენტები მოთავსდნენ სამედიცინო დაწესებულების საიზოლაციო პალატებში (ბოქსი, ნახევრად-ბოქსი, ბოქსირებული პალატა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ის პროცედურები, რომლებსაც თან ახლავს აეროზოლების წარმოქმნა, განახორციელეთ საიზოლაციო პალატებში (მაგ., რეანიმაციის ბოქსირებული პალატა, ან საიზოლაციო სათავსი).

COVID-19-ის დადასტურებულ, ან სავარაუდო პაციენტებიდან, ან მათგან აღებული ნიმუშების დამუშავებისას დაიცავით ბიოუსაფრთხოების დადგენილი ზომები.



### ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობის შემთხვევაში, იხელმძღვანელებს დაწესებულების პრაქტიკის შესახებ არსებული გაიდლაინებით და სტანდარტებით, დაინფიცირებული პირების გამოვლენისა და იზოლირების და თანამშრომელთა დაცვის მიზნით.

შეიმუშავეთ და განახორციელეთ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს დაინფიცირების შემცირებას, მაგალითად COVID-19-ით დაავადებული პაციენტების დაჯგუფება, როდესაც ერთკაციანი პალატები არ არის ხელმისაწვდომი.

თანამშრომლებს მიაწოდეთ მათ სამუშაოსთან დაკავშირებულ საფრთხეებზე ინფორმაცია და ჩაუტარეთ ტრენინგი COVID-19-ის გავრცელების პრევენციის შესახებ, მათ შორის ჩაუტარეთ საწყისი და განმეორებითი ტრენინგი, რათა დარწმუნდეთ, რომ თანამშრომლებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები. საჭიროებისამებრ, უზრუნველყავით ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა თანამშრომლების სტრესის შესამცირებლად.

### უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკა

შემუშავდეს საგანგებო სიტუაციებისას სამოქმედო გეგმა.

### ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

თანამშრომელთა უმეტესობამ, რომლებიც ინფიცირების მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის წინაშე დგანან, შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, უნდა ატარონ ხელთათმანები, ხალათი, სახის დამცავი ფარი, დამცავი სათვალები და რესპირატორი.

მათ, ვინც უშუალო კონტაქტში არიან COVID-19 დაავადების დადასტურებულ ან სავარაუდო პაციენტებთან და ახორციელებენ აეროზოლების მაგნერირებელ პროცედურას, უნდა გამოიყენონ რესპირატორები.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კომპლექტი შესაძლოა განსხვავდებოდეს, განსაკუთრებით ლაბორატორიებში, ან მორგში/დამკრძალავ სახლებში მომუშავე თანამშრომლებისათვის, რომელთაც შესაძლოა დამატებითი დაცვის საშუალებები დასჭირდეთ სისხლის, სხეულის სითხეების, ქიმიური ნივთიერებების და სხვა მასალების ექსპოზიციისაგან თავის დასაცავად. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო/ქირურგიულ ხალათებს, სითხეგაუმტარ კომბინიზონებს, წინსაფრებს, ან სხვა ერთჯერად, ან მრავალჯერადი გამოყენების დამცავ ტანსაცმელს.

შენიშვნა: ის თანამშრომლები, რომლებიც ინდივიდუალური დაცვის საშუალებების აღჭურვილობას და სხვა ინფექციური ნარჩენების მართვას უზრუნველყოფენ, ასევე უნდა გადამზადდნენ და უზრუნველყოფილ იყვნენ ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობით.

### **საშუალო რისკი**

ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ COVID-19 -ით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საეჭვო პაციენტებს. ასეთი ადგილები შეიძლება იყოს სკოლები, მრავალრიცხოვანი/მჭიდრო სამუშაო ადგილები,



ასევე ზოგიერთი საცალო ვაჭრობის ცენტრი, სხვა ობიექტები, სადაც ადამიანთა თავშეყრის ადგილებია.

## რეკომენდაციები იმ სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების საშუალო რისკის მქონედ

### საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები

დაამონტაჟეთ ფიზიკური ბარიერები, როგორცაა დაცემინებისაგან დამცავი გამჭვირვალე პლასტმასის შირმები, სადაც ეს შესაძლებელია.

### ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

გაითვალისწინეთ სახის ნიღბების შეთავაზების საკითხი ყველა დაავადებული თანამშრომლისათვის და მომხმარებლისთვის, რათა შეაკავოთ რესპირაციული სეკრეციები იმ დრომდე, სანამ ისინი შეძლებენ სამუშაო ადგილის დატოვებას. ნიღბების დეფიციტის შემთხვევაში გამოიყენეთ მრავალჯერადი სახის დამცავი ფარი, რომლის გაუსნებოვნებაც შესაძლოა იყოს წვეთოვანი გზით ვირუსის გავრცელებისაგან თავის დასაცავად.

COVID-19-ის შესახებ გამოაკარით განცხადებები იმ მომსახურების სექტორებში, სადაც შესაძლოა მომხმარებლები მივიდნენ (მაგ. აფთიაქები, მაღაზიები და ა.შ).

პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უზრუნველყავით დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია.

შენობის შესასვლელებში განათავსეთ დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით.

თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები.

გამოყენებული ჰიგიენური საშუალებები განათავსეთ დახურულ კონტეინერებში და უზრუნველყავით მათი დროული გატანა შენობიდან, მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად, შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

შესაბამის შემთხვევაში, შეზღუდეთ მომხმარებლების და ფართო საზოგადოების დაშვება სამუშაო ადგილზე, ან ისინი მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო არეალში დაუშვით.

განიხილეთ პირადი კონტაქტის მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებები (მაგ. მანქანიდან გადმოუსვლელად მომსახურების მიღების ადგილების მოწყობა, ტელეფონით კომუნიკაცია, ან დისტანციური მუშაობის შემოღება თანამშრომლებისთვის).

ვიზიტორთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით).



### ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს)

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევასა გაითვალისწინეთ ისეთი საკითხები, როგორცაა, მათი ფუნქცია, მორგებადობა, გაუსნებოვნების შესაძლებლობა და საბოლოო განთავსება. თითოეულმა





დამსაქმებელმა უნდა შეარჩიოს იდს-ების ისეთი კომბინაცია, რომელიც თანამშრომლებს დაიცავს კონკრეტულად მისი სამუშაო ადგილის გათვალისწინებით.

ინფიცირების საშუალო რისკის მქონე თანამშრომლებს, რისკის შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა დასჭირდეთ ხელთათმანების, კომბინიზონის, სახის ნიღბის ან/და სახის დამცავი ფარის, ან დამცავი სათვალეების კომბინაციის გამოყენება.

### დაბალი რისკი

ინფიცირების დაბალი რისკის სამუშაო ადგილები ისეთი ადგილებია, სადაც მომუშავეებს არ მოეთხოვებათ COVID-19-ით დაინფიცირებულ, ან ვირუსით დაინფიცირებაზე საექვო პირებთან კონტაქტი, და არც ხშირი და ახლო კონტაქტი მოეთხოვებათ ფართო საზოგადოებასთან. ამ კატეგორიას მიკუთვნებულ მომუშავეებს მინიმალური კონტაქტი აქვთ სამუშაო ადგილზე ფართო საზოგადოებასთან ან სხვა თანამშრომლებთან.

### რეკომენდაციები იმ სამუშაო ადგილების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია ინფიცირების დაბალი რისკის მქონედ

#### საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები

დაბალი ინფიცირების რისკის მქონე თანამშრომლების შემთხვევაში, რეკომენდირებული არ არის დამატებითი საინჟინრო კონტროლის ღონისძიებების გატარება. დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყონ, რომ საინჟინრო კონტროლის ღონისძიებების არსებული საშუალებების ფუნქციონირება გაგრძელდეს დანიშნულებისამებრ.

#### ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

განახორციელეთ COVID-19-ის შესახებ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის განცხადებების/ინფორმაციის მონიტორინგი და უზრუნველყავით ამ ინფორმაციაზე თანამშრომლების ხელმისაწვდომობა. სამუშაო ადგილებზე უზრუნველყავით ხელის დასაბანი საშუალებების ხელმისაწვდომობა ან სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხის არსებობა.

#### ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

არ არის რეკომენდირებული დამატებით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება დაბალი რისკის მქონე ჯგუფს მიკუთვნებული თანამშრომლების მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:  15 05  116 001



MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED  
PERSONS FROM THE OCCUPIED  
TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND  
SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Labour Conditions Inspection Department  
Create Together Safe Working Environment!

## Annex №1

# General Guidance Related to Infection (COVID-19) Caused by Novel Coronavirus (SARS-CoV-2)

Guidance set forth in Annex №1 applies for all sectors of economic activity

Note: In accordance with Order N281/N of the Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia on “the rule for Examination for Short-term Employment Disability and Issuance of Doctors Note”, the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia will issue an equivalent document to the doctors excuse note (Medical Certificate) to persons quarantined in order to prevent the spread of coronavirus. The document will serve as the basis to receive monthly payment and therefore, the working days spend in quarantine or in self-isolation will be legitimate and fully paid to the employees. In order to get the certificate, an interested person has to apply to the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia at - [info@moh.gov.ge](mailto:info@moh.gov.ge).

For further information, please contact:

☎ 15 05

☎ 116 001

**StopCoV.ge**



## Table of Contents

Development of Readiness and Response Plan for Infectious Disease.....	3
Preparation for implementation of basic preventive measures .....	3
The hierarchy of risk controls .....	4
Classifying Worker Exposure to COVID -19.....	5
Very high exposure risk.....	5
High exposure risk.....	5
Recommendations for jobs classified at high or very high exposure risk.....	6
Medium exposure risk.....	6
Recommendations for jobs classified at medium exposure risk.....	7
Lower exposure risk .....	8
Recommendations for jobs classified at lower exposure risk.....	8



## Development of Readiness and Response Plan for Infectious Disease

Employers that have not yet taken special measures must develop readiness and response plan for infectious diseases (emergency response plan), that will facilitate implementation of measures to prevent COVID -19. It is significant to use guidelines of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia and LEPL L.Sakvarelidze National Center for Disease Control and Public Health and define how to comply with their recommendations.

The plans must envisage and underline the risk level (levels) related to different workplaces and tasks that employees have to do. The issues to be considered may include: where, how and to what sources of COVID-19 the employees may be exposed to, including the contact in public places, customers etc.

Individual risk factors of employees must be taken into consideration (e.g. retirement age, chronic diseases etc.). If there are such employees in the company, management must take additional control measures necessary to reduce the risks.

### **The staff must not appear in the workplace if they:**

- Left the affected country over the past 14 days;
- Were in close contact with infected person/persons for the past 14 days (they must be self-isolated/quarantined as per the rule);
- Have symptoms of respiratory infection (coughing, temperature, sneezing, difficulty in breathing, general weakness etc.);
- Are among the ones who have high risk of getting infected with COVID -19 or serious complications: over 70 of age, people suffering from chronic diseases (cardio-vascular diseases, diabetes, bronchial asthma and other respiratory diseases).

## Preparation for implementation of basic preventive measures

All the employers must ensure relevant hygiene and infection control practices, including by:

- Promoting frequent and thorough hand washing;
- Providing the staff and third parties with a place to wash their hands;
- In case there is no possibility to wash hands, 70% alcohol-based hand disinfectant must be used;
- Encouraging the staff stay at home if they are sick;
- Encouraging respiratory etiquette, including covering coughs and sneezes;
- Ensuring disposable tissue paper and waste bins for customers and the society;

The employer must develop a policy and procedures for immediate isolation of persons who have signs and/or symptoms of COVID-19 and employees must be trained to take necessary measures.

The employer must ensure the development and introduction of flexible working regime, provision of information, introduction of flexible leave policy for sick employees and their compliance with social healthcare guidelines. Companies must be provided with information about the significance of requesting




the employees to stay at home or introducing measures to use encouraging policy to the employees, giving them possibility to use the leave, work in rotating shifts and/or do teleworking.

The employer, as far as practicable, must develop a flexible policy enabling the staff stay at home and care for their families.

## The hierarchy of risk controls

In order to ensure safety control in the workplace, companies must be guided by the hierarchy of control measures. The best way to exercise control is to systematically eliminate hazards from the workplace. The employer must at first take engineering control measures (e.g. safety barriers etc.) administrative control measures (instructions, training, ensuring means for disinfection, development of action plan in the state of emergency) and finally, apply personal protective equipment (face masks, goggles, gloves, gowns). Each level of control measure has advantages and disadvantages considering the simplicity, efficiency and costs of their implementation. In most cases, the use of combination of control mechanisms will be necessary to prevent employees from COVID-10 exposure.

While selecting relevant hierarchy of risk controls, the employer, considering the characteristics of existing work environment, must prioritize the first level of control mechanism (elimination of hazard). But, if due to substantial technological reasons, it is impossible to fully follow the control hierarchy, the employer may be guided by the scheme following top to bottom direction, i.e. from primary control measure to the final level.



Control measures represents changes in work policy or procedures, aimed to eliminate hazards. Some examples of control measures related to COVIC-19 are:

- Encouraging the infected employees to stay at home;
- minimizing the contact of employees and customers by switching to teleworking mode;
- Establishing alternating days or extra shifts that reduce the total number of employees in a facility at a given time, allowing them to maintain distance from one another while maintaining a full onsite work week.



- Providing the employees with updated information and training them on COVID-19 risk-factors and control measures (e.g. coughing etiquette and treatment of personal protective equipment);
- Training the employees on proper use of personal protective equipment and their further use/disposal.
- Ensuring the simplicity of training materials and its provision the way to be understandable to the trainees.

Despite the fact that engineering and administrative control measures are considered to be more effective to reduce COVID-19 exposure, PPEs may also be necessary to be used for this purpose. Although PPEs may prevent some type of exposure, they must not replace other strategies for prevention.

PPEs are: gloves, goggles, face shields, face masks and respirators.

It is necessary that all types of PPEs must be:

- Selected in accordance with the job performed by an employee;
- Ensured to properly fit to the employee and be suitable for the job (e.g. respirators);
- Used in accordance with the instructions;
- Regularly inspected for suitability, in case of necessity, technical maintenance must be provided and if found faulty, they must be replaced on time.

The employers are obliged to provide the employees with PPEs, which is necessary for their safety of work performance.

Trainings related to respirators must include the issues of their selection, use (wearing and fitting), disposition or disinfection, examination for damage.

## Classifying Worker Exposure to COVID -19


Worker risk of occupational exposure to COVID-19 may vary from very high to high, medium, or lower (caution) risk. The level of risk depends in part on the industry type. Occupational risk pyramid shows the four exposure risk levels.

### Very high exposure risk

Very high exposure risk jobs include: specific medical, or laboratory facilities. Workers in this category are healthcare workers (e.g., doctors, nurses, dentists, paramedics, emergency medical technicians) laboratory workers collecting specimen from known or suspected COVID-19 patients.

### High exposure risk

High exposure risk jobs are those with high potential for exposure to known or suspected sources of COVID-19. Workers in this category include: doctors, nurses, and other hospital staff, who must enter to known or suspected COVID-19 patients: Mortuary workers involved in preparing the bodies of people who are known to have, or suspected of having, COVID-19 at the time of their death.





## Recommendations for jobs classified at high or very high exposure risk

### Engineering Controls Measures

Ensure that appropriate air-handling systems are installed and maintained in healthcare facilities. According to recommendations, patients with known or suspected COVID-19 (i.e., person under investigation) should be placed in an airborne infection isolation room (AIIR), if available.

Use isolation rooms when available for performing aerosol-generating procedures on patients with known or suspected COVID-19 (airborne infection and isolation room)

Use special precautions associated with biosafety measures when handling specimens from known or suspected COVID-19 patients.

### Administrative controls

If working in a healthcare facility, follow existing guidelines and facility standards of practice for identifying and isolating infected individuals and for protecting workers.

Develop and implement policies that reduce exposure, such as cohorting (i.e., grouping) COVID-19 patients when single rooms are not available.

Provide all workers with job-specific education and training on preventing transmission of COVID-19, including initial and routine/refresher training to make sure that the workers have appropriate knowledge and skills.

Ensure that psychological and behavioral support is available to address employee stress.

### Safe work practices

Emergency response action plan must be developed.

### Personal protective equipment (PPE)

Most workers at high or very high exposure risk likely need to wear gloves, a gown, a face shield or goggles, and either a face mask or a respirator, depending on their job tasks and exposure risks.

Those who work closely with patients known to be, or suspected of being, infected with COVID-19, and perform aerosol-generating procedures should wear respirators.

PPE ensembles may vary, especially for workers in laboratories or morgue/mortuary facilities who may need additional protection against blood, body fluids, chemicals, and other materials to which they may be exposed. Additional PPE may include medical/surgical gowns, fluid-resistant coveralls, aprons, or other disposable or reusable protective clothing.

NOTE: Workers who dispose of PPE and other infectious waste must also be trained and provided with appropriate PPE.

## Medium exposure risk

Medium exposure risk jobs include those that require frequent and/or close contact with (i.e., less than 2 meters) other people who are not infected or suspected to be infected with COVID-19. Such places include schools, crowded workplaces as well as some retail shopping centres or other places where people gather.



## Recommendations for jobs classified at medium exposure risk

### Engineering controls

Install physical barriers, such as clear plastic sneeze guards, where feasible.

### Administrative controls

Consider offering face masks to sick employees and customers to contain respiratory secretions until they are able leave the workplace. In the event of a shortage of masks, a reusable face shield that can be decontaminated may be an acceptable method of protecting against droplet transmission.

Keep customers informed by posting signs about COVID-19 in stores where sick customers may visit (e.g. pharmacies and stores).

Periodically, several times a day, ensure ventilation of closed spaces/rooms, and clean and disinfect restrooms in the workplaces.

Install disinfection barriers in entrances with appropriate mandatory signs.

Position hand hygiene solutions and instructions for their use in a visible place.

Dispose of used hygiene products in sealed containers and ensure their timely removal from the building, together with municipal waste, by an appropriate person/service.

If appropriate, restrict admission of customers and public to the workplace, or allow them only in a designated work area.

Consider minimizing personal contact (such as arranging service without getting out of the car, communicating by phone, or teleworking).

To maintain the distance, use obligatory conventional signs (using appropriate stickers/drawings)



### Personal protective equipment (PPE)

When selecting PPEs, consider factors such as function, fit, decontamination ability, and disposal.

Each employer must select the combination of PPEs considering the workplace of the employee.

Workers with medium exposure risk may need to wear some combination of gloves, a gown, a face mask, and/or a face shield or goggles.





## Lower exposure risk

Lower exposure risk jobs are those that do not require contact with people known to be, or suspected of being, infected with COVID-19 nor frequent close contact with the general public. Workers in this category have minimal occupational contact with the public and other coworkers.

### **Recommendations for jobs classified at lower exposure risk**

#### **Engineering controls**

Additional engineering controls are not recommended for workers in the lower exposure risk group. Employers should ensure that engineering controls, if any, used to protect workers from other job hazards continue to function as intended.

#### **Administrative controls**

Monitor public health communications about COVID-19 recommendations and ensure that workers have access to that information.

Ensure accessibility of hand washing equipment or at least 70% alcohol based hand disinfectant must be used;

#### **Personal Protective Equipment**

Additional PPE is not recommended for workers in the lower exposure risk group.